საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 10964/01
20/10/2021

10964-01-2-202110201713

შპს „კოდორს“
მის: ქ. თბილისი, ბახტრიონის ქ. N13, ბ. N85

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 5 ოქტომბრის №17926 განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში სს „თელასის“ საკუთრებაში არსებული 35 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის „ორბეთი 1“-ის მონაკვეთის (N6 - N9 საყრდენებს შორის) მიწისქვეშა საკაბელო ხაზით შეცვლას (35 კილოვოლტი ძაბვის მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა).

სკრინინგის განცხადება წარმოდგენილია შპს „კოდორის“ მიერ, ამასთან, განცხადებაში აღნიშნულია, რომ საპროექტო 35 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზი „ორბეთი 1“ წარმოადგენს სს „თელასის“ საკუთრებას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადება უნდა წარმოადგინოს 35 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის „ორბეთი 1“-ის მესაკუთრემ (სს „თელასი“), ან შპს „კოდორის“ მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს სამინისტროსთვის სკრინინგის განცხადებით მომართვის და დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად, სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს აღნიშნული შენიშვნის გათვალისწინებით განახლებული სკრინინგის განცხადების სამინისტროში განმეორებით წარმოდგენის შემდეგ.

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ.: +(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044
www.mepa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone.:+(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044